ასე დამარცხდა ლიდერი

თბილისი. "დინამოს" სტადიონი. 16 აგვისტო.

"დინამო" (თბილისი) – "პახტაკორი" (ტაშკენტი) 4:0 (2:0).

"პახტაკორი": პშენიჩნიკოვი, შარიპოვი, მოტორინი, სუიუნოვი, მუხინი, კახაროვი, აბდურაიმოვი, ტაზეტდინოვი (რახმატულაევი), კრასნიცკი, ტაჯიროვი, ბელიაკოვი.

"დინამო": კოტრიკაძე, ბ. სიჭინავა, ხურცილავა, ჩოხელი, ზეინკლიშვილი, იამანიძე, დათუნაშვილი, გ. სიჭინავა, კალოევი, მელაშვილი, მესხი (ხელაძე).

თითქმის ყოველ წელს, ყოველ საკავშირო ჩემპიონატში ადგილი აქვს ასეთ სენსაციას: არიერგარდში მყოფი რომელიმე გუნდი, რომელსაც ჩვეულებრივ ცხრილის ბოლოში ვხედავთ ხოლმე, სრულიად მოულოდნელად იწყებს ძლიერად თამაშს, ზედიზედ ამარცხებს საყოველთაოდ აღიარებულ ფავორიტებს და ადგილს იმკვიდრებს ლიდერთა შორის. ასე მაგალითად, შარშანდელი სეზონის გმირი იყო ხარკოვის "ავანგარდი", 1960 წლისა – ერევნის "სპარტაკი" და ა.შ.

მიმდინარე გათამაშების სიურპრიზს ამ მხრივ უდავოდ წარმოადგენს ტაშკენტის "პახტაკორი", რომელიც დამაჯერებლად მიიწევდა წინ პირველივე ტურებიდან და ბოლოს ქვეჯგუფის ერთ-ერთი ლიდერიც გახდა. ამიტომ სავსებით ბუნებრივია ის დიდი ინტერესი, რომელსაც იწვევს თავის მიმართ ეს ახალი ლიდერი.

"პახტაკორი" არ მიეკუთვნება იმ გუნდების კატეგორიას, რომლებსაც მაღალი ტექნიკის მქონე ფეხბურთელები ჰყავს. მისი ყველაზე უფრო ღირსშესანიშნავი, ინდივიდუალურად ძლიერი მოთამაშეა ცენტრალური ფორვარდი კრასნიცკი, მაგრამ მისი ძალაც ძირითადად საუკეთესო ფიზიკური მონაცემებით და აგრესიით განისაზღვრება, ამიტომ ტაშკენტელთა მთავარი "კოზირია" უკიდურესად მაღალი, მაქსიმალური დატვირთვა, თითოეული მოთამაშის უდიდესი შრომისუნარიანობა მთელი თამაშის მსვლელობაში, ხოლო გუნდის ტაქტიკური ნახაზი საკმაოდ შაბლონურად გამოიყურება: მასირებული დაცვა საჯარიმო მოედნის სიახლოვეს, აქტიური ურთიერთდაზღვევა ყველა ზონაში და წინა ხაზზე დატოვებული სამი საკმაოდ სახიფათო ფორვარდი (მათს შორის, რა თქმა უნდა, კრასნიცკი), მატჩის პირველ წუთებზე სტუმრების ამ მცირერიცხოვანმა შემტევმა ძალამ ორჯერ შექმნა ბურთის გატანის რეალური შესაძლებლობა და ორჯერვე ტაზეტდინოვმა ახლო მანძილიდან ააცილა ბურთი მიზანს. შემდგომში ტაშკენტელებს აღარ ჰქონიათ ასეთი შესაძლებლობანი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ბელიაკოვის გარღვევას, რომელსაც ფეხებიდან ააცალა ბურთი კოტრიკაძემ და ჩოხელის მიერ კარის ხაზიდან გამოტანილი ბურთი კრასნიცკის საჯარიმო დარტყმის შემდეგ.

დინამოელთა ტაქტიკა გაცილებით უფრო მდიდარი და შინაარსიანი იყო. მას შემდეგ, რაც ხურცილავამ უნაკლოდ ჩაკეტა მასზე "გაპიროვნებული" კრასნიცკი, ჩოხელს საშუალება მიეცა თავისუფლად ემოქმედა თავის ზონაში, ხოლო შუა მინდორზე მეტად ნაყოფიერად, კვალიფიციურად ითამაშეს იამანიძემ და გ. სიჭინავამ. ეს უკანასკნელი მეტად ეფექტურად გადიოდა თავისუფალ ადგილებზე და სისტემატურად იწყებდა კომბინაციებს უკანა ხაზიდან.

პირველ წარმატებას დინამოელებმა მე-20 წუთზე მიაღწიეს. დათუნაშვილმა მარჯვენა ფრთიდან ზედ კართან მიაწოდა ბურთი. პშენიჩნიკოვი ვერ მისწვდა მას და კალოევმა ძნელი მდგომარეობიდან მეტად ოსტატურად გაიტანა თავით გოლი – 1:0.

მცირე ხანს შემდეგ მესხმა შეასრულა საჯარიმო დარტყმა, "პახტაკორის" მცველებმა მოიგერიეს ბურთი, მაგრამ მას დაეუფლა საუკეთესო პოზიციაში მყოფი გ. სიჭინავა, რომელმაც დაუყოვნებლივ გადააწოდა იგი მელაშვილს. მეკარე პშენიჩნიკოვი უძლური იყო აეღო უძლიერესად დარტყმული ბურთი – 2:0.

მესამე გოლი გატანილ იქნა 68-ე წუთზე. იამანიძე კარგად გავიდა მოწინააღმდეგის კართან და ზუსტად გადასცა მესხს. თბილისელთა მარცხენა გარემარბმა სწრაფად მოატყუა თავისი დარაჯი, მეკარის პირისპირ გაიჭრა და მესამედ აიძულა იგი გამოეტანა ბურთი ბადიდან – 3:0.

??-ე წუთზე მელაშვილმა შორი მანძილიდან უდიდესი ძალით დაარტყა კარში. ბურთი მოხვდა ძელს, გამოვარდა უკან და ამ მომენტში მას მიუსწრო კალოევმა – 4:0.

ეს იყო მეტად მნიშვნელოვანი გამარჯვება თბილისელთათვის. გარდა იმისა, რომ აღებული იქნა სრული რევანში, ეს ორი ქულა დინამოელებს ფინალური ტურნირის აქტივში ეწერებათ.

ა. ნადირაძე.
“ლელო”, 18 აგვისტო, 1962 წ.